07/04/2025

მეუფე შიო: ‘დღევანდელ დღეს ვევედროთ უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ შევძლოთ ამ საღვთო გზით სიარული, ღვთისმშობლის გზით სიარული და... ამ გზაზე ყოველთვის ვადიდოთ ყოვლადწმინდა ქალწული ღვთისმშობელი’

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ქადაგება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.

ძვირფასო ძმებო და დებო, გილოცავთ ხარების დიდებულ დღესასწაულს.

ამ მოვლენას, რომელსაც დღეს ჩვენ ვზეიმობთ, კაცობრიობა ელოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში; ელოდნენ მხსნელს, რომელიც შეაერთებდა ზეცას და მიწას, რომელიც ასწავლიდა ადამიანებს სიმართლით ცხოვრებას. ეს სიხარული მაცხოვრის შესახებ სამყაროს ეუწყა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეშვეობით. როგორ ეუწყა? – მას გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა, რომ მისგან იშვება ძე, რომელსაც იგი უწოდებს იესოს. ,,როგორ იშვება, როდესაც მან მამაკაცი არ იცის?" – ჰკითხა ყოვლადწმინდა ქალწულმა მთავარანგელოზს. მან მიუგო და აუხსნა, რომ სულიწმინდა გადმოვა მასზე და მისგან შობილი იქნება ძე ღვთისა.

აი, ძვირფასო ძმებო და დებო, როგორი რწმენა და სიმდაბლე უნდა ჰქონოდა ყოვლადწმინდა ქალწულს, რომ ამ საოცარ სიტყვებზე მან უპასუხა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა, მეყოს მე შენი სიტყვისამებრ" (ლკ. 1, 38). აი, ასე გახდა ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი ღვთის დედა.

კაცობრიობის ისტორია ორ ნაწილად იყოფა: ქრისტეს მოსვლამდე და ქრისტეს მოსვლის შემდეგ. ქრისტეს შობამდე ადამიანები ეძებდნენ ღმერთს და ელოდნენ მხსნელის მოსვლას, ემზადებოდნენ ამისთვის საუკეთესო წარმომადგენლები კაცობრიობისა. უფალთან შესახვედრად, მის მოსამზადებლად მათ გაიღეს ყველაფერი საუკეთესო, ყველაზე კარგი, რაც კი შეძლეს – ეს არის ყოვლადწმინდა ქალწული მარიამის პიროვნება.

ქრისტეს შობის შემდეგ კაცობრიობა უკვე იცნობს ღმერთს შეძლებისდაგვარად, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია. ქრისტეს სახარება მიმართულია ყველა ადამიანისკენ, ყველას მოუწოდებს. ეს არის ჭეშმარიტება რწმენაზე, სიყვარულზე, ღმერთზე, სულის ცხონებაზე. ეს ჭეშმარიტება, როგორც ნათქვამია უფლის გამოცხადების წიგნში, დგას ყოველი ადამიანის გულის კართან და აკაკუნებს, მაგრამ ჩვენს გულამდე მიღწევა რთულია, რადგან ზურგს ვაქცევთ და უარს ვეუბნებით ხოლმე მას. უფალი კი მაინც აკაკუნებს და მოგვიწოდებს. უეცრად ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანს გული მოულბება, გონება გაეხსნება და როგორც ღვთისმშობელი, წარმოთქვამს ასეთ სიტყვებს: ,,აჰა, მე ვარ მხევალი ღვთისა, ან მონა ღვთისა, მეყოს მე შენი სიტყვებისამებრ"... და ასე ხდება ადამიანი ღმერთშემოსილი.

ძვირფასო ძმებო და დებო, გავიხედოთ ჩვენ ირგვლივ, რას ჩადიან ადამიანები ქრისტეს გარეშე, რწმენის გარეშე.

ამდენად, ჩვენ წინაშე არის ორი გზა: ერთი გზა არის ღვთისმშობლისა, ყოვლადწმინდა ქალწულის გზა; ეს არის გზა რწმენისა, სიყვარულისა, სიმართლისა და სიწმინდისა. მეორე გზა არის ბოროტების, უსამართლობის, არაწმინდების და ა.შ. ჩვენ რომელ გზას ვირჩევთ, რომელი გზით გვსურს სიარული?!

დღევანდელ დღეს ვევედროთ უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ

შევძლოთ ამ საღვთო გზით სიარული, ღვთისმშობლის გზით სიარული და ყველა ღონე ვიხმაროთ იმისთვის, რომ არ გადავუხვიოთ ამ გზიდან, სულის ცხონების გზიდან. ამ გზაზე ყოველთვის ვადიდოთ ყოვლადწმინდა ქალწული ღვთისმშობელი და ვუგალობდეთ მას: „გიხაროდენ, სახარულევანო! გიხაროდენ, მიმადლებულო! გიხაროდენ, წმიდაო სძალო უსძლოო“. ამინ!

გილოცავთ ხარებას, ღმერთმა მრავალი სიხარული მოგცეთ, გაგაძლიეროთ და გაგახაროთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარი

7 აპრილი, 2025 წელი

ელექტრონული ვერსია მოამზადეს ანზორ ჩიქობავამ და თამარ ასათიანმა

sazu.ge